


გ. აბასოვი

საირუელო ჭა



საბლიუფრამი



ଶ୍ରୀରାମଚନ୍ଦ୍ର

გაბრიელ აგასტო

საირუალო ჭა

1941



საქ. ალექსანდრი ქრისტენი
საბაკვეთ და ახალგაზრდობის ლიტერატურულობა
თბილისი—1941

რედაქტორი გ. კიკნაძე

ხელმოწერილია დასაბეჭდათ 30/VI—
1941 წ. უე 17796. ანაწყობის ზომა
 $6 \times 10 = 29.920$ ნიშანი. სასტამბო ფორ-
მა $2\frac{1}{4}$. სავტორო 1,68. შეკვეთის № 783.
ტირაჟი 4000.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბი-
ნატი. თბილისი, უორქის ქ. № 5.



თბილისის ერთ-ერთ განაპირა უბანში, ასფალტ-და-
გებულ პატარა ქუჩის ბოლოში, გამვლელის თვალ-
ყურს უსათუოდ მიიპყრობს აივნიანი ლამაზი თეთრი
სახლი.

სახლი მყუდრო ადგილას დგას, დაშორებული ქა-
ლაქის ცენტრს, და, თითქოს ულიმისო, მხიარულად
გადაჰყურებს წინ-გადაშლილ პატარა ბაღს.

— რა კოხტა სახლიაო! — იტყვით თქვენ და უნე-
ბურად შეჩერდებით მისი მხიარული ფერის გალავნის
წინ. — რა საამო უნდა იყოს აქ ცხოვრება გაზაფხულ-
ზე, როცა ეს ხეები თეთრად და ვარდისფრად შეიმო-
სებიან, როცა მათ ფოთლებში ცელქი ჩიტუნები მო-
უსვენარ ფუსტუსს და მხიარულ ჭიკჭიკს გააბამენ.

მაგრამ შესცდებით, თუ ამ სახლს ჩვეულებრივ
საცხოვრებელ სახლად მიიღებთ. ის სრულიად განსა-
კუთრებული სახლია. ჯერ კიდევ ოთხი წლისაც არ
არის იგი და იმავე დროს მას ოცდაჩვიდმეტი წელი
შეუსრულდა, რადგან ორჯერ აშენდა ეს საკვირველი
სახლი.

*

1903 წელს, სექტემბრის ერთ ცხელ დღეს, თბილისის
ქალაქის გამგეობიდან¹ შუატანის, კარგად ჩატული

¹ ასე ეწოდებოდა მეფის დროს იმ დაწესებულებას, რომელიც ქა-
ლაქის საქმეებს განაეცხდა.

კაცი გამოვიდა. იღლიაში ქალალდების შეკვრა ეჭირა. გამგეობის შენობის ნახევრად ჩაბნელებული და გრილი დერეფნების შემდეგ კაშკაში სინათლემ ქუჩაში თვალი მოსჭრა და უნებურად მოაჭუტინა. მზის სხივებით გახურებულ ტროტუარზე შეჩერდა, ღრმად და შვებით ამოისუნთქა, მერე ცხვირსახოცი ამოიღო, გაოფლიანებული სახე და კისერი მოიწმინდა და ფარულად გაპჰედა ტროტუარს პირდაპირ ქუჩის მეორე მხარეს, სადაც დიდალი ხალხი ირეოდა და ხმაურობდა.

ფარდულები დუქნების წინ სავსე იყო ხილით, ათასურად ბრწყინვალენ მაღაზიებისა და სახელოსნოების ფანჯრებში გამოფენილი ვერცხლის იარაღი, მძიმე ქამრები, აბზინდებით და ბალთებით მორთული უნავირები და ცხნის სხვა მოკაზმულობა, გრძელი მოღუნული, თავსა და ბოლოში ვერცხლით მოჭედილი ყანწები, რითაც ძველად ქეიფსა და ნადიმში ღვინოს შეექცეოდნენ.

გავარვარებულ ჰაერში ათასნაირი ხმა ისმოდა.

— პაპ-პაპ-პაპ! რა ატამია, რა ატამია, ამის ჭირიმე! აქეთ მობრძანდი, ბატონო, აქეთ! — გაპკიოდნენ ჩახლებილი ხმით მეღუქნები და თითქმის კალთებს აგლეზდნენ გამვლელებს, ცდილობდნენ მათ შეტყუებას დუქნებში.

— ხაბარდა! — ყვიროდა მეეტლე და მათრახს უქნევდა ქუჩაში მიმავალ მუშას, რომელიც მძიმე ტვირთქვეშ ოფლში იწურებოდა.

?
ისმოდა იარაღის ოსტატთა და მექვაბეთა ჩაქუჩების კაუნი, ვირების ყროყინი და ათასი სხვა ხმა და ყვირილი.

დროგამოშვებით ჰაერს აყრუებდა ქუჩების კუთხეში მდგომი პოლიციელის ყურისწამლები სტვენა. იგი ხალხს უფრო აშინებდა, ვიღრე წესრიგს ამყარებდა, და ხალხიც დამფრთხალ თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა.

უცნობმა სული მოითქვა, ერთხელ კიდევ გაიხედა
შარჯვნივ, დაუდევრად გაისწორა გვერდზე მოქცეული
ჰალსტუხი და გზას გაუდგა. ეტყობოდა, ძალიან ჩაფი-
ქრებული უნდა ყოფილიყო, რადგან როცა ტროტუ-
არის ბოლოს მიაღწია და ქუჩა უნდა გადაელახა, კუ-
თხეში კინაღამ არ წააქცია უბრალოდ ჩაცმული კაცი,
რომელიც თავისთვის იდგა და გაზეთს კითხულო-
ბდა.

უცნობმა წუთით ნაბიჯი შეანელა, ქუდს ხელი
წაატანა და უკაცრავადო,—სთქვა, მერე შეუმჩნევლად
თვალი ჩაუკრა გაზეთის მკითხველს, ქალალდების შე-
კვრა ერთი იღლიიდან მეორეში გადაინაცვლა და
პუშკინის ქუჩით დაეშვა.

გაზეთის მკითხველმა კი დინჯად დაკეცა გაზეთი
და აუჩქარებლად გასწია სომხის ბაზრისაკენ. შემდეგ
ერთ-ერთ გვერდის ქუჩაში შეუხვია, უკან მიიხედა
და ერთბაშად ნაბიჯს მოუჩქარა.

*

კაცმა, რომელსაც იღლიაში ქალალდების შეკვრა
ეჭირა, სამჯერ დაპკრა ალაყაფის კარებზე ჩამოკიდე-
ბული კვერი, მერე კუთხეს მიეფარა და ცდა დაიწყო.

პატარა კარი უხმოდ გაიღო, მაგრამ შიგნიდან არა-
ვის გამოუხედნია. უცნობი კუთხიდან გამოვიდა, კარ-
თან მივიდა და ჩაახველა. შევიდა მხოლოდ მაშინ,
როცა შიგნიდან საპასუხო ხველა მოესმა.

კარებს უკან კაცი იდგა, იგი ძალზე ჰერცინი
რომელიც რამდენიმე წუთის წინად ქუჩაში იდგა და
გაზეთს კითხულობდა. მან კარი დახურა, შემდეგ,
ხმაამოუღებლივ გრილი ეზო გაიარეს და ოთა-
ხში შევიდნენ. შიგ ოთხი კაცი იყო. ეტყობოდათ,
ელოდებოდნენ ახლად შესულს, რადგან, როგორც
კი დაინახეს იგი, სწრაფად წამოხტნენ და მისკენ
გაეშურნენ.

— რას იტყვი, დათიკო? — ჰქითხა მას 30 წლის საა-
მო, ლია სახის მოკლე-წვერიანმა კაცმა. მისი გონიე-
რი შავი თვალები მტკიცედ და დაჯერებით გამოი-
ყურებოდნენ, რაც ცხადჲყოფდა იმას, რომ მათი პა-
ტრონი დიდი ნებისა და სიმამაცის კაცი უნდა ყოფი-
ლიყო.

— ყველაფერი რიგზეა, ჩემო მიხო, — მიუგო ახლად
შესულმა. — აი დამტკიცებული გეგმა.

და დახვეული ქალალდი მაგიდაზე გადაშალა. ყვე-
ლანი შექუჩდნენ და გეგმას დააცქერდნენ.

— ცვლილება ხომ არ შეუტანიათ? — ჰქითხა მიხომ
და თავი ასწია.

— არა. ბევრი კი ვიწვალე, ოფლში გავიწურე, სა-
ნამ ყველას ხელს მოვაწერინებდი. რა ცვლილება უნ-
და შეეტანათ? ეს ხომ ჩვეულებრივი ორ-ოთახიანი
და სარდაფიანი საცხოვრებელი სახლია?

ამასთან თვალები ისე ეშმაკურად მოჭუტა, რომ
ყველას გაეცინა.

— ყოჩალ, დათიკო! აი ყოჩალ! — წამოიძახა მიხომ
და გადაეხვია მეგობარს.

— ამას რაღას უზამ? — იკითხა ერთმა ამხანაგმა,
რომელიც გეგმას ათვალიერებდა. ერთ სტრიქონს
თითო გააყოლა და ხმამალლა ამოიკითხა; „ვალდებუ-
ლი ვარ მშენებლობა ვაწარმოო ზუსტად გეგმის
მიხედვით. დავით როსტომაშვილი“.

— რა უნდა ვუყო? — შეეკითხა თავის მხრივ დათი-
კო სერიოზული სახით. — კანონია და რას იზამ! მე პი-
რობა მივეცი, არც ერთი გოჯით არ გადავუხვიო
გეგმას...

— რომელ გეგმას არ გადაუხვევ? — იკითხა სიცი-
ლით მიხომ.

— ჩვენ გეგმას, ძმაო, ჩვენ გეგმას! — წამოიძახა და-
ვითმა და მეგობარს მხარზე ხელი დაჰკრა.

ყველამ კვლავ გაიცინა.

— აბა, ბიჭებო, დასაწყისი კარგია! — სთქვა ისევ მიხომ. ჩვენი სოსო კმაყოფილი დარჩება. დღესვე უნდა ვაცნობოთ საპყრობილები. ხვალ კი საქმეს შეუდგებით. ყველამ თავისი ადგილი უნდა დაიჭიროს. შენ, მირიმან, და შენ, თედო, საკალატოზო სამუშაოები გევალებათ. შენ, სანდრო, დურგლობას მოჰკიდებ ხელს. მე მასალასა და ფულს მოგაწოდებთ. გახსოვდეთ: პარტიული კომიტეტის დავალება ისე უნდა შევასრულოთ, როგორც ამას კობა მოელის ჩვენგან.

ოთახში ერთ წუთს სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ის საქმე, რომელსაც ხვალ უნდა შესდგომოდნენ, უკვე დაეუფლაო მთელ მათ ფიქრსა და აზრს.

— ახლა-კი ღროა დავიშალნეთ, — სთქვა ბოლოს მიხომ. — სანდრო, პირველი შენ გადი და გვაცნობე თუ რამე შენიშნო.

სანდრომ ხელი დაავლო თეთრარშიან დიდ ლურჯ ხელსახოცს, რომელშიაც გახვეული იყო პური, მწვანილი, ცხვრის ბარკალი, კიტრი და ბოთლი ღვინო, ქუდი კოხტად მოიგდო თავზე, გარეთ გავიდა და ალაყაფის პატარა კარი გააღო. ქუჩის კუთხესთან საამო ხმით სიმღერა გააბა:

„კოკობო, ვარდო, არ დამაგდო,
ვარ მონა შენი“.

და უდარდელად გასწია. მიდიოდა ისე მხიარულად, თითქოს კარგი მასპინძელი მიეღისო. სიმღერის ხმა თანდათან მინელდა და, ბოლოს, მთლად მისწყდა.

— ყველაფერი რიგზეა, — სთქვა მიხომ; — თითო-თითოდ გადით, ყური მახვილად გეჭიროთ.

და მაღვე პატარა ეზოში სიჩუმე ჩამოვარდა.

მეორე დღეს ავლაბარში, ცარიელ ადგილზე, რამდენიმე კაცი გაჩნდა სხვადასხვა სამუშაო იარაღით ხელში. დაათვალიერეს მიწის პატარა ნაკვეთი, გაზომ-გამოზომეს და კუთხეებში პალოები ჩაარჭეს.

ამავე დღის შემდეგ ეს ნაკვეთი უკვე ფიცრის ღობით იყო შემოვლებული, და გახურებული მუშაობა გაჩაღდა იქ.

აგებდნენ სახლს, მაგრამ უცნაურად. საძირკვლისათვის, მაგალითად, მიწა შვილი მეტრის სიღრმეზე გათხარეს.

— რაში დაგჭირდათ მიწის გათხრა ასე ღრმად? — უკვირდათ ცნობისმოყვარე მეზობლებს.

— აბა როგორ,—უპასუხებდა მათ თედო: —ჩვენ ხომ აქ საყინულე გვექნება, მაშასადამე, ღრმა სარდაფია საჭირო.

და ასე მოხერხებულად ისტუმრებდა იგი ცნობის-მოყვარეებს.

როგორც კი მიწის სამუშაოებს მორჩნენ, მაშინვე დაითხოვეს მიწისმთხრელები. შეუდგნენ კედლების ამოყვანას. გახურებული მუშაობა იყო, მაგრამ ერთ დღეს ადგნენ და კალატოზებსაც ანგარიში გაუსწორეს.

— რა ამბავია, ბატონო! — ამბობდნენ კალატოზები: — ჯერ კიდევ რამდენი სამუშაოა, თქვენ კი გვითხოვთ?

— რა ვქნათ, ძმაო, ფული შემოგვაკლდა. ნება-უნებურად უნდა შევაჩეროთ მშენებლობა, — ეუბნებოდა კალატოზებს ვითომ დამწუხებული დავითი.

ნამდვილად კი მუშაობა განაგრძეს, მხოლოდ საკუთარი ძალებით: თედო და მირიმანი კალატოზებად

მუშაობდნენ, ხოლო სანდრო, ვანო და ნიკო ჩოდრი-შვილები ხუროებად.

და ასე შეუმჩნევლად, ნელ-ნელა, წლის დამლევს ცარიელ ადგილზე გამოიჭიმა ორ-ოთახიანი საცხოვ-რებელი სახლი თავისი სარდაფით და პატარა ფარ-დულით.

ერთ ოთახში დასახლდა შავ ქართულ კაბაში გამო-წყობილი, მხნე გამომეტყველებისა და მტკიცე სახის ორმოცი წლის ქალი—ბაბე ლაშაძე, მიხოს მკვიდრი დეიდა.

მთელ დღეს ბაბე სახლში ფუსფუსებდა: ამზადებდა საღილს, ალაგებდა ოთახებს, რეცხავდა ჩვრებს. თავი-სუფალ დროს კი იჯდა აივანზე ან იდგა ფანჯარასთან. აივანიც და ფანჯარაც გაჰყურებდნენ ცარიელ ად-გილს, რომლის ბოლოშიც სასაფლაო იყო.

ძალიან დაკვირვებული თვალიც კი ვერ შენიშნავდა იმ გასაოცარ ამბებს, რომლებიც ამ სახლში ხდებოდა. ხდებოდა კი მართლაც უცნაური და საკვირველი ამბები.

ასე, მაგალითად, როცა აივანზე მჯდომი ან ფანჯა-რასთან მდგომი ქალი გზის ბოლოში ან საღმე სხვა-გან სახლის ახლო-მახლო შენიშნავდა ვინმეს ან გაი-გონებდა რაიმე ხმაურობას, მისი სახე სერიოზულ გამომეტყველებას ღებულობდა, იგი სწრაფად მიღი-ოდა კედელთან, სადაც ტახტი იდგა, და იქ ფანჯ-რის რაფასთან, საწოლის თავის მახლობლად, ხელს დააჭერდა კედლის ქაღალდ ქვეშ ოსტატურად დამა-ლულ ზარის ღილს. მერე, ცოტა ხნის შემდეგ, როცა დაინახავდა, რომ გზაზე მიმავალნი თვალს მოეფარნენ და ხმაურობაც მისწყდა, კვლავ მოდიოდა ზართან და ღილს უკვე ორჯერ აჭერდა თითს. რატომ? გაუგება-რი იყო.

არავისთან მეზობლებში ბაბე არ დადიოდა, არაფერს არ სესხულობდა და არც არავის უახლოოვდებოდა.

რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ამისათვის მეზობლებს ყურადღება არ მიექციათ.

— ძალიან ბევრს მუშაობ, გენაცვალე, — ეუბნებოდა რომელიმე ცნობისმოყვარე მეზობელი ქალი, ვითომ უცაბედად ეზოში შესული: — მთელ დღეს ტრიალებ, ფეხზე დგეხარ. როგორ არ იღლები?

— რა ვქნა, ჩემო კარგო, — უპასუხა ბაბემ და განგებ ამოიოხვრა, — ხუმრობა საქმე როდია: ხუთ სულს ვაჭმევ, ისიც მამაკაცებს! დაამზადე, დარეცხე, დაალაგე. ახლა ეზო-კარს მიხედე: ეს ქათამიო, ეს ბადიო. ასე ვტრიალებ მთელ დღეს. — ამბობდა ამას და ლეჩაქ-ქვეშიდან ჩამოშვებულ კავებს ისწორებდა. — არ დაიჯერებ, ვერ მომიცლია, რომ მეზობლებთან შევიარო, პატარა ხანს დავჯდე, გამოველაპარაკო...

თან მალვით ბაბე გზას გაჰყურებდა და გულში ფიქრობდა: „რა ეშმაკად შემოეთრია! მალე მაინც წავიდოდეს. გული საგულეს აღარა მაქვს“...

— სად არიან მერე შენი დგმურები? — არ იშლიდა თავისას ენაწყლიანი მეზობელი, რომელიც სულაც არა ჩქარობდა წასვლას. — რაღაც არა ჩანან...

— მუშაობენ, გენაცვალე, მუშაობენ საწყლები მთელ დღეს. საღამოობით ბრუნდებიან ძალზე დაქანცულები, და მაშინვე მიწვებიან ხოლმე, ხომ იცი, რა გაჭირვება ადგია მუშა კაცს! — ეუბნებოდა ბაბე და თან ეჭვით შეჰყურებდა მოსაუბრეს.

— ოჲ, ნუღარ იტყვი, ნუ! — ოხრავდა თავის მხრივ მეზობელი. — გეფიცები, ჩემი სედრაკი დღე-ლამეში 14 საათს მუშაობს იმ სისხლისმსმელ ადელხანოვის¹ ქარხანაში, — იმას დაეყაროს შავი მიწა! ტანჯვაა, ტანჯვა მუშა კაცის ცხოვრება!

¹ ტყავის ქარხნის პატრონი თბილისში მეფის დროს.

ბოლოს, ხანგრძლივი ოხვრისა და ვიშის შემდეგ, მეზობელი მიღის, თანაც ჰპირდება, არ დაივიწყებს და მომავალშიაც შემოივლის. ბაბე მაშინვე ტახტს მიაშურებს, ორჯერ დარეკავს ზარს და თავის საქმეს განაგრძობს.

დეიდა ბაბეს დგმურები კი მართლაც უცნაურად იქცეოდნენ. ავიღოთ თუნდაც ის, რომ შინ, ბაბესთან, ისინი ბრუნდებოდნენ არა ჭუჩიდან, არა ჭიშკრით, როგორც წესი და რიგია, არამედ... ჭიდან. დიახ, ჭიდან ამოდიოდნენ, ნამდვილ ჩვეულებრივ ჭიდან, სახლის გვერდით, ფარდულში გამართულ ჭიდან.

დილის ცხრა საათზე ისინი თითო-თითოდ ამოდიოდნენ ჭიდან. ერთხანს ეზოში რჩებოდნენ, სულს ითქვამდნენ და ხელ-ფეხს იმართავდნენ. შემდეგ აივან-ქვეშ სარდაფში ჩადიოდნენ, სადაც დეიდა ბაბე ქურაზე საუზმეს ამზადებდა.

საუზმის შემდეგ კვლავ ჭისკენ მიდიოდნენ, იქ მსხვილი თოკით ეშვებოდნენ და თვალის დახამხამებაზე ჰქინებოდნენ, თითქოს ჭამ ჩაყლაპაო.

მეორდებოდა ეს 4 საათზე, როცა საღილად ამოდიოდნენ, და საღამოს 10 საათზე, როცა მიწის ქვეშ თავიანთ საიდუმლო სამუშაოს ამთავრებდნენ.

ზოგჯერ ისინი სულ არ ამოდიოდნენ და ღამეც ქვემოთ რჩებოდნენ, და მაშინ დეიდა ბაბე მწუხარედ ორავდა და შეშფოთებული ბუზღუნებდა თავის ლოგინზე, ყურს უგდებდა ყრუ და ოდნავ გასაგონ გუგუნს, რომელიც ქვევიდან მოისმოდა. ზოგჯერ მცირე ხნით ჩასთვლებდა, მაგრამ მაღლ შეშფოთებული წამოვარდებოდა, აივანზე გავიდოდა, გაპედავდა ღამის წყვდიადს და ყურს უგდებდა ღამის ხმაურს.

რატომ არ ეძინებოდა დეიდა ბაბეს? რატომ გადიოდა ასე მაღ-მაღლ აივანზე და გაჟყურებდა ღამის წყვდიადს, სმენად იყო გადაქცეული?

უცნაური იყო ისიც, რომ ჯერ კიდევ გათენებამდე ფრთხილად იღებოდა ალაყაფის პატარა კარი და ჩნდებოდნენ ვიღაც კაცები. კედელს აკრულნი ისინიც გზას გაჰყურებდნენ, რომელიც გარიურაჟის ნის-ჭუში ოდნავ მოსჩანდა, და როცა დარწმუნდებოდნენ, რომ გარშემო სიჩუმეა და არც არავინ მოსჩანს. თი-თო-თითოდ გადიოდნენ სახლიდან...

ხდებოდა ზოგჯერ, რომ ღამე ჭიშკრიდან ჩუმად გადიოდა ორთვლიანი საზიდი, რომელშიაც ერთი ცხენი ება. საზიდი სავსე იყო ბოლოკით, ხახვით, ქორფა მწვანილით და კიტრით. მაგრამ რა საჭირო იყო ამდენი სიფრთხილე ისეთ უბრალო და უწყინარ საქმეში, როგორიც არის ახალი მწვანილის გატანა ბაზარში გასასყიდადო, იკითხავთ, აღბათ თქვენ. მართლაც რა საჭირო იყო?

მაგრამ, თუ ოდნავ გადასწევდით ბოლოკისა და მწვანილის კონებს, ხელში მოგხვდებოდათ თავებდა-ჭედილი ყუთები. თუ ახლა ყუთებსაც გახსნილით ან გაშლილით ქალალდებს, რომლებიც ტანისამოსს ქვეშ ჰქონდათ დამალული სახლიდან გამოსულ ამ უცნაურ შავ ლანდებს, ნახავდით ჯერ კიდევ სასტამბო საღა-ბავის სუნით გაუღენთილ, ახლად დაბეჭდილ გაზეთის ფურცლებს. ამ ფურცლებზე, თუ, რასაკვირველია, მახვილი თვალის პატრონი იყავით და ახლო მიტა-ნილის წაკითხვას შესძლებდით, ამოიკითხავდით გა-ზეთების სახელებს: „პროლეტარიატის ბრძოლა“, „პროლეტარიატი კრივ“, „ბორბა პროლეტარიატა“, წაიკითხავდით ამას ქართულ, სომხურ და რუსულ ენებზე.

მაგრამ თქვენ, რასაკვირველია, ვერ მიაგნებდით იმ ყუთებს, ვერც კი მიხვდებოდით მათ არსებობას, მით უმეტეს, რომ ის შავი ლანდები, რომლებიც ამ ყუ-თებით დატვირთულ საზიდებს მისდევდნენ, გაურბო-

ღნენ გზებს და დასახლებულ ადგილებს, მიღიოდნენ
შინდორზე და ყოველგვარ ხმაურზე ყურებს ცქვე-
ტავდნენ.

ამასობაში თენდებოდა კიდევ, გაპყიოდნენ მამლე-
ბი, მოისმოდა კარების ჭრიალი, ადამიანთა ლაპარა-
კი, — იწყებოდა დღე.

დეიდა ბაბე აივანზე გადიოდა, მიღამოებს თვალს
ავლებდა, ეზოს შემოუვლიდა და ფარულად ქუჩა-
შიაც გაიხედავდა. შემდეგ აღვიძებდა თავის მდგმურ-
ებს, რომელნიც სწრაფად ჭაში ეშვებოდნენ. თავათ
ბაბე-კი ჩვეულებრივ სამუშაოს იწყობდა...

*

ამ უცნაური სახლის საიდუმლოების გასაგებად, შე-
უმჩნევლად გავყვეთ მის ერთ-ერთ მდგმურს, როდესაც
ის საიდუმლოებით მოცულ ჯურლმულში ჩაშვება.

მივიდეთ ჭასთან, ცალი ხელი ჭოჭონაჭზე ჩაძოკი-
დებულ და ჭაში ჩაშვებულ სქელ თოკს მოვკიდ-
ოთ, ხოლო მეორეთი ჭის კედელს მივეყრდნოთ. შემ-
დეგ, ჯერ ერთი, მერე მეორე. ფეხით მოვსინჯოთ
ჭის კედელში ჩალრმავებული ადგილები. ესე იგი საფე-
ურები. პატარა ამოვისუნთქოთ, და ქვევით ჩავიხედოთ,
რომ სიბნელეს თვალი შევაჩვიოთ. ქვევით საზარელი
წყვდიადია, ასე გგონია ვერც ერთ ნაბიჯს ვერ გადავდ-
გამო საშინელ ჯურლმულისაკენ.

ვერ მოვასწრებთ ხეირიანად მიმოხედვას, რომ ჩვენ
წინ მიმავალი მეზობელი უკვე გაპქრება. ის ჩვენსავით
კანკალით და საფეხურების ძებნით როდი ჩაშვებულა,
— მან მოხვია ხელები და ფეხები თოკს და სწრაფად
ჩაცურდა ქვემოთ. მაგრამ ჩაცურების დროს ხომ ხე-
ლები გაუხურდებოდა და გადაეხეხებოდაო, იტყვით
თქვენ. მართალი ხართ, მაგრამ, თუ კარგად დავაკვი-
რდებით მის ხელებს, შევამჩნევთ ზედ ჩამოცმულ
ტყავის ხელთათმანებს, რომლებიც იცავენ ხელებს
დაზიანებისაგან.

ახლა, როცა ჩვენი თვალი უკვე შეეჩვია სიბნელეს და ვამჩნევთ კიდეც ჭის კედლებს, განვაგრძოთ გზა. ადვილი არ არის შეუჩვეველი კაცისათვის წონასწორობის შენარჩუნება. ყოველ წუთს გვონია, აი მოვწყდები და ჯურღმულში ჩავარდებიო. მიუხედავად ამისა, ნელ-ნელა მაინც ვეშვებით როდესაც ოცდაოთხ საფეხურს დავითვლით, შევდგეთ. იქვე, ქვემოთ, ერთი მეტრის სიღრმეზე, მკრთალად მოლაპლაპე წყალს დავინახავთ. ეს წყალი უფრო შავი და საშინელია, როცა ჯერ ზევით ავიხედავთ, სადაც ნათელი რგოლი გამოჩნდება, და მერე პირს ისევ ქვევითკენ ვიბრუნებთ.

ახლა კარგად დავაკვირდეთ ჭის კედელს. მარცხნივ ხვრელს დავინახავთ. შევიდეთ ამ ხვრელში, მაგრამ ფრთხილად-კი, რომ თავი არ მივახეთქოთ ზედა კედელს, რადგან ხვრელის სიმაღლე ერთ მეტრს არ აღემატება. ხვრელში შესვლისას ხელი გაუშვათ თოკს. თოკზე მიბმული ვედრა ჭის კედლებს მიეხეთქება და წკრიალს მოადენს. ხვრელი წელში მოხრილებმა უნდა გავიაროთ.

ათი ნაბიჯიც და მივადგებით ხის კიბეს, პირდაპირ აყუდებულს მეორე, მშრალი ჭის კედელზე. ეს ჭა პარალელურად მისდევს პირველ ჭას. ამ ორ ჭას ხუთი მეტრის სისქე მიწა ჰყოფს. კიბე მაღალია და პირველსანს მისი ოცი საფეხური დაუძლეველ დაბრკოლებად მოგვეჩვენება, მაგრამ უკან ხომ ვერ დავბრუნდებით? აი უკანასკნელი საფეხურიც. რა არის ეს? ნუ თუ მიწისქვეშა ფარულ ოთახს მივადექით.

მიმოვიხედოთ. აგერ კედლების გასწროვ სასტამბო ყუთებია, ტიხრებით გაყოფილი განყოფილებებით, რომლებშიაც საბეჭდი ასოები აწყვია. ეს შრიფტ-კასებია. შუა ოთახში საბეჭდი მანქანა დგას. კუთხეში დასაღვამზე და ზედ იატაკზე სუფთა ქაღალდისა და დაბეჭდილი

ფურცლების მთელი დასტები აწყვია. ლურსმანზე სა-
მუშაო ხალათი ჰკიდია.

თუ თავს ავწევთ და კარგად დავაკვირდებით, ნავ-
თისა და გაზის ლამპრების შუქზე ჭერში დავინახავთ
ოსტატურად გაკეთებულ ასაწევ კარს. ნეტა სად აღის ეს
კარი? ნუ თუ დეიდა ბაბეს სამზარეულოში?

აგერ თვით საიდუმლო მდგმურებიც! აბა ყური და-
ვუგდოთ, რაზე ლაპარაკობენ:

— რა გასაგებად და სადათ სწერს ჩვენი კობა! აი
მოუსმინეთ: „დღევანდელი-ცხოვრება კაპიტალისტუ-
რადაა მოწყობილი. აქ ორი დიდი კლასი არსებობს:
ბურჟუაზია და პროლეტარიატი, და მათ შორის სამ-
კვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა გამართული“... ამ
სიტყვებს სულ ადვილად იგებენ მუშები.

ამას ამბობს მაკარი გოგუაძე, რომელიც ასოებით
სავსე ყუთთან დგას. ქალალდ-ჩამოფარებული ლამპა
კარგად აშუქებს მის ხელს, რომელიც ციბრუტივით
დახტის უამრავ ასოებში, იღებს იქიდან საჭიროს
და სდებს სამწკრეში.

— მართალს ამბობ,—გამოეხმაურა მაკარის საბეჭდ
მანქანასთან მდგომი გიგო ლელაშვილი, ლამაზი, წარ-
მოსადეგი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა კაცი დიდი თვა-
ლებით, რომლებშიაც ცნობისმოყვარეობა გამოკრ-
თის:—ტყუილად ხომ არ აქებს ჩვენს გაზეთს თვით
ლენინი. ამხანაგი კობა გასაგებად და დამაჯერებლად
ლაპარაკობს და სწერს. რატომ მერე? იმიტომ, რომ
კარგად იცის, რა სტკივა მუშას, რა აწუხებს, იცნობს
მის ცხოვრებას, მის გაჭირვებას, მის ფიქრებს. შორს
იყურება და ცხადად ხედავს, საით უნდა წაიყვანოს
მუშა ხალხი. ვისაც წრეში ან მიტინგზე ერთხელ მა-
ინც მოუსმენია მისი ლაპარაკი, მოუსმენია არა ზერე-
ლედ, არამედ მთელი გულისყურით, ის სამუდამოდ
მისი მოწაფე და თანამებრძოლი ხდება.

— აი, ბიჭებო, დაუგდეთ ერთი ყური, რას ამბობენ
ის იატაკქვეშელი მბეჭდავები, რომელთაც მასთან
ერთად ბათუმში უმუშავნიათ,—დაიწყო ჭიჭიკო კა-
ლანდაძემ: — 9 მარტს სალამოთი, დემონსტრაციის
შემდეგ,¹ ამხანაგმა სტალინმა თავი მოუყარა მათ და
უთხრა: „აუცილებლად უნდა გავაცნოთ ბათუმის
ამბები არა მარტო ბათუმის, თბილისის, ფოთის, ბაქოს
მუშების ფართო მასებს, ამ ქალაქების ყველა მშრომ-
ელს, არამედ მთელ რუსეთსაც. დედე, იცოდეს ყველა
მუშამ, რომ მეთის ხელისუფლება კაპიტალისტებისა
და ბურჟუაზიის დამცველია. სასწრაფოდ უნდა გამოუშ-
ვათ ფურცელი ბათუმის მუშების დღევანდელ დახ-
ვრეტაზე“... ბიჭები, რა თქმა უნდა, ხელად მოემ-
ზადნენ. არასოდეს არ დაგვავიწყდებაო ის ღამე, — გად-
მოვცემდნენ შემდეგში ისინი. წარმოიდგინეთ პატა-
რა ოთახი. ოდნავ ბუუტავს ლაბპარი...

მოლაპარაკე უცბად შეჩერდა და სმენად გადაიჭცა.

— ზ-ზ-ზ! — გაისმა ზარის შფოთიანი წკრიალი.

ყველანი გაჩუმდნენ, სინათლე ჩააქრეს. ლელაშვილ-
მა საბეჭდი მანქანა შეაჩერა. ჩამოვარდნილ სიჩუმეში
განაბული ადამიანების სუნთქვა ღა ისმოდა.

— უთუოდ რალაც შენიშნა დეიდა ბაბემ, — სთქვა
ჩურჩულით მაკარიმ.

გადის რამდენიმე დაუსრულებელი წუთი. კვლავ
აწერუნდა ზარი, ახლა კი ორჯერ, მხნედ და დამამ
შვიდებლად, თითქოს დეიდა ბაბე ზევიდან ეუბნე-
ბოდა. ნუ გეშინიათ, საფრთხემ ჩაიარა, ყველაფერი
რიგზეაო.

¹ 1902 წლის 9 მარტს ქ. ბათუმში სტალინის ხელმძღვანელობით
მოწყობილ და ჩატარებულ იქნა უდიდესი პოლიტიკორი დემონსტრა-
ცია.

ხელახლა ანთებენ სინათლეს და განაგრძობენ მუშაობას. კვლავ გაისმა ოთახში მანქანის თანაბარი გუგუნი.

— განაგრძე, ჭიჭიკო, ამბავი,—მიმართა გიგომ.

— ჰო, რაზე შევჩერდი? მოვიგონე. ჰო-და, წარმოიდგინეთ პატარა ოთახი, საღაც ნავთის ლამპა ოდნავ ბუუტავს. პატარა მრგვალ მაგიდასთან ზის ჩვენი კობა და სწერს. იქვე, გვერდით, დგას სასტაჭბო დაზგა, რომლის ირგვლივაც ასოთამწყობები ფუსფუსებენ. შრიფტი აწყვია ასანთის და პაპიროსის კოლოფებში ან პირდაპირ ქაღალდზე ჰყრია. ამხანაგი კობა ნაწილ-ნაწილ აძლევს დაწერილს ასოთამწყობებს. მალ-მალ გადის გარედ, ეზოში, ხან ერთი, ხან მეორე მუშა და აქეთ-იქით იყურება, ჯაშუში ხომ არსად არისო...

— ისე, როგორც ჩვენი ბაბე,—ამბობს გიგო.

ყველა ღიმილით ეთანხმება.

ბოლოს კობა წერას ათავებს, ფეხზე დგება და ხმა-მაღლა კითხულობს დაწერილ ფურცლებს.

— რა ეწერა, მერე, შიგ?—მოუთმენლად ეკითხება გიგო, რადგან მთხრობელი პატარა ხანს შეჩერდა.

— რა ეწერა? ეს ფურცელი სადა და ყველასათვის გასაგები ენით გადმოგვცემდა იმას, თუ როგორ დახვრიტეს მუშები, რომელთაც გაბედეს ქუჩაში გამოსვლა და ყველას გასაგონად იმის თქმა, რომ მათი ცხოვრება აუტანელია... ამ ფურცელმა აუხსნა მუშებს, რომ მეფე და მისი თანაშემწევები და მსახურნი—ჩინოვნიკები, გენერლები, გუბერნატორები, ბოქაულები და სხვები—კაპიტალისტების მხარეზე არიან, რომ მუშა ხალხს, თავისი თავის გარდა, არავისი იმედი არ უნდა ჰქონდეს და არსაიდან შველას არ უნდა მოელოდეს. უნდა გავერთიანდეთ,—ნათქვამი იყო ამ ფურცელში, —და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი გამოვიდეთ ყველანი და მაშინ...

— და მაშინ? — მოუთმენლად იკითხა ისევ გიგომ.
— მაშინ, ჩემო გიგო, დავამხობთ მეფეს და კაპი-
ტალისტებს!..

*


თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, რომ ამ საიდუმლო
სახლში მოთავსებული იყო არალეგალური სტამბა.
დიახ, ეს იყო ბოლშევიკური არალეგარული სტამბა.
დაარსებული ამხანაგ სტალინის მითითებით, რომლის
ხელმძღვანელობითაც წარმოიშვა, გაიზარდა და გაძ-
ლიერდა ბოლშევიკური ორგანიზაცია ამიერ-კავკა-
სიაში და რომლის სახელთანაც დაკავშირებულია მთე-
ლი რევოლუციური მოძრაობა ამიერ-კავკასიასა და
საქართველოში მისი ჩასახვის პირველ დღეებიდანვე.

1902 წლის 5 აპრილს ამხანაგი სტალინი მეფის
მთავრობამ დააპატიმრა და ბათომის საპყრობილები
ჩასვა. ერთი წლის შემდეგ იგი ქუთაისის საპყრობი-
ლები გადაიყვანეს.

ამხანაგი სტალინი საპყრობილებიაც განაგრძობდა
დიდ პოლიტიკურ მუშაობას. 1903 წელს, საპყრობი-
ლები ყოფნის დროს, ამხანაგმა სტალინმა მიუთითა
პარტიულ კომიტეტს (მაშინ მას რუსეთის სოციალ-
დემოკრატიული პარტიის კავკასიის საკავშირო კო-
მიტეტი ეწოდებოდა), მოეწყო თბილისში ისეთი არა-
ლეგალური სტამბა, რომელიც დიდი რაოდენობით
შესძლებდა პოლიტიკური ლიტერატურის ბეჭდვას.

ამ ძნელი და საპატიო საქმის შესრულება პარტიუ-
ლმა კომიტეტმა დაავალა მოწინავე მუშას, ამხანაგ
სტალინის პოწაფეს და მახლობელ მეგობარს — მიხო
ბოჭორიძეს.

ამიერ-კავკასიის რკინისგზის სახელოსნოების მუშე-
ბის, რევოლუციისათვის თავდადებული ამხანაგების
დახმარებით მიხომ წარმატებით შეასრულა ამხანაგ
სტალინის ეს დავალება.



සාම්බාරුහුලුම් සාරුතාන තුළද, රැමිලුව රාඛම් කාටුපාසින බෙනුල් ජුගුපුරුහි මාලුගැලුණුරි ප්‍රාමිතාත් සාම්බාරුහුලුම් ප්‍රාමිතාත් ප්‍රාමිතාත් ප්‍රාමිතාත් ප්‍රාමිතාත් ප්‍රාමිතාත්

პოლიციის თვალის ძახვევად აგებულ იქნა საცხოვრებელი სახლი ორი სარდაფით: პირველი წარმოადგენდა სამზარეულოს, ხოლო მეორე—სტამბას, და ეს მეორე სარდაფი სრულიად დამალული იყო გარეშეთათვის. იქ მოხვედრა შეიძლებოდა ან ჭიდან, ან ჩასავალი კარიდან, რომელიც ამოჭრილი იყო მეორე სარდაფის ჭერში (მაშასადამე, პირველ სარდაფის ითავტი). ამ კარს განსაკუთრებულ შემთხვევაში იყენებდნენ. გამოიყენეს ის, მაგალითად, მაშინ, როდესაც ბაქოდან ჩამორანილი დაშლილი საბეჭდი ჩანქანა ჩაუშვეს სარდაფში.

1904 წლის იანვარს ამხანაგი სტალინი გამოიქცა აღმოსავლეთ ციმბირიდან, სადაც მეფის მთავრობამ 1903 წლის ნოემბერს გადაასახლა. თბილისში დაბრუნებისას ის სათავეში ჩაუდგა ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

სწორედ მაშინ დაიწყო მუშაობა ავლაბრის არალეგალურმა სტამბამ. ამხანაგი სტალინი, მიხო ბოჭორიძის შემწეობით, პირადად წარმართავდა სტამბის საქმეებს, რედაქტორობდა გაზეთს და სწერდა მისთვის წერილებს.

გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლა“-ს გარდა, ავლაბრის სტამბაში დაიბეჭდა ლენინისა და სტალინის ბევრი წერილი. იბეჭდებოდა ამ სტამბაში აგრეთვე პროკლამაციები, მოწოდებები, ფურცლები. იქ დაბეჭდილი ლიტერატურა ამიერ-კავკასიის ყველა ქალაქსა, სოფელსა და კუთხეში ვრცელდებოდა.

მეფის პოლიციისა და მისი უოვალავი ჯაშუშების შეუმჩნევლად ეს ლიტერატურა იჭრებოდა და ვრცელდებოდა ქარხნებში, ფაბრიკებში, სახელოსნოებში, საამქროებში, მუშათა ბინებში, მოუწოდებდა მუშებისა და გლეხების ფართო მასებს მეფის წინააღმდეგ, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ; ამხელდა მენშევიკებს და მუშათა კლასის სხვა მტრებს.

იყვნენ ისეთი თავდადებულნიც, რომელნიც ახერ-
ხებდნენ ამ ლიტერატურის საზღვარგარეთ გატანას.
ისინი თვალებს უხვევდნენ სანაპირო საღარაჯოებს,
ატუებდნენ ჟანდარმების სიფხიზღვეს და მიჰქონდათ
იგი. შვეიცარიაში, წყნარ უენევაში, საღაც ცხოვრობ-
და და მუშაობდა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი, რო-
მელიც მაშინ ემიგრაციაში იმყოფებოდა....

*

1905 წლის ნოემბრის დამლევი იყო. ამ დღეს სა-
ბეჭდი მანქანის გუგუნი სარდაფში ჩვეულებრივზე ბე-
ვრად უფრო ადრე შესწყდა, დეიდა ბაბეს ზარი, რო-
მლის ხმაც სამჯერ და ხანგრძლივად გაისმა, დაუინე-
ბით იწვევდა მუშებს ზევით. როცა ჭიდან ამოსული
მუშები ოთახში შევიდნენ, იქ მათ მიხო და დეიდა
ბაბე დახვდნენ, რომლებიც რაღაზედაც ხმაღაბლა
ლაპარაკობდნენ. იქვე იყო ახალგაზრდა, გამხდარ-გა-
მხდარი ქალი, სერიოზული შავი თვალებით. დეიდა ბაბ-
ეს ჩვეულებრივზე უფრო დაფიქრებული სახე ჰქონდა.

მიხო შემოსულებს მიესალმა. შემდეგ მან ბაბეს მი-
მართა:

— დეიდა, შენ უდარაჯე, სანამ ჩვენ მოვილაპარა-
კებთ.

— ფიქრი ნუ გაქვთ,—უპასუხა ბაბემ და აივანზე გა-
ვიდა.

— ამხანაგებო,—დაიწყო მიხომ, როდესაც ყველანი
დასხდნენ:—როგორც იცით, 20 ნოემბრიდან ამხანაგ
კობას ხელმძღვანელობით გამოდის ლეგალური ბოლ-
შევიკური გაზეთი „კავკასიი რაბოჩი ლისტოკ“-ი. ამი-
ტომ პარტიულმა კომიტეტმა გადასწყვიტა, დროებით
შეაჩეროს ჩვენი სტამბის მუშაობა. ვამბობ—დროებით—
მეთქი, რაღვან არ ვიცით, რამდენ ხანს დაგვრთავს
მეფის მთავრობა ლეგალური გაზეთის გამოცემის ნე-

ბას. მუშათა და გლეხთა შეიარაღებული აჯანყება სასტიკად ჩაახშეს. მაგრამ მხოლოდ მენშევიკებს მიაჩნიათ, რომ რევოლუცია დამთავრდა. არა! ხალხი პრძოლისაკენ მიისწრაფვის. უნდა დავრაზმოთ მუშათა მასები, მოვამზადოთ შეიარაღებული გამოსვლებისათვის. დადგა დრო, როცა კარგად უნდა შევისწავლოთ სამხედრო საქმე, პარტიზან...

მან ვერ მოასწრო სიტყვის დამთავრება: მოულოდნელმა კაკუნმა ლაპარაკი შეაწყვეტინა. ამ დროს ბაბემ, აივანზე გაირბინა. ყველას სუნთქვა შეეკრა, ყველა სულგანაბული იჯდა.

— ეი, ვინა ხარ მანდ, გააღე კარი! — მოისმა ქუჩიდან ვიღაცის რიხიანი ხმა.

— პოლიცია! — წამოიძახა ჩურჩულით მიხომ და ყველა დაფაცურდა, ყველამ რაიმე საქმე წამოიწყო: ერთი წამოწვა და თავი მოიმძინარა, მეორემ ჩექმა გაიხადა და სინჯვა დაუწყო, თითქოს უნდა დააკეროსო, მესამემ ჩაქუჩს დაავლო ხელი და კედელში ლურსმანს დაუწყო კაკუნი, ქალი ცოცხეს დასწვდა და ოთახის დაგვას შეუდგა.

— ამსაათში, ბატონო, ამსაათში! — გამოეხმაურა კაკუნს ბაბე, კიბეზე მარდად ჩაირბინა, პატარა კარი გააღო და მიმართა სტუმარს: — მობრძანდით, ბატონო, მობრძანდით!

ზორბა პოლიციელი ხმლის ჩხარუნით ძლივს შეეტია კარებში. მან თამბაქოს ბოლისაგან გაყვითლებული ულვაშები გადაიგრიხა და სწრაფად თვალი მიმოავლო ეზოს.

— რა ამბავია აქ? — დაიღრიალა და ბაბესკენ წაიწია.

— რას მიბრძანებ, ბატონო? — თავის დაკვრით შეეკითხა ბაბე.

— არის ვინმე სახლში? — შეეკითხა ისევ პოლიცი-
ელი.

— არიან, ბატონო, რატომაც არ იქნებიან? ჩემი
მდგმურები ხერხაშვილები არიან, ყველანი შინ არი-
ან, ეს არის ახლა დაბრუნდნენ სამუშაოდან, — უპასუ-
ხა ბაბემ განგებ დამახინჯებული რუსულით, თან თავს
უკრავდა.

გარეგნულად დაშვიდებული იყო, გულში კი შეშ-
ფოთებული ფიქრობდა: „ეჭვი უნდა გავუფანტო, სა-
ჩქაროდ უნდა გავისტუმრო, მოვაშორო აქაურობას“.
მაგრამ როვორ?

ამ დროს ეზოში თვალი შეასწრო ქათმებს.

— რას მიბრძანებ, ბატონო? — გაიმეორა ბაბემ და
უეცრად ხმამაღლა დაუძახა ქათმებს: — ჯუ, ჯუ, ჯუ!

ქათმები უივილ-ხივილით შემოეხვივნენ. ხარბ პო-
ლიციელს ქათმების დანახვაზე თვალები გაუბრწ-
ყინდა.

— შეხედე ერთი, რა ქათმები ჰყოლია? — სთქვა მან.

ქათმები მართლაც ძალიან კარგები იყვნენ: ჯიში
ანი, დიდრონი, ჩასუქებულნი.

— შენებია?

— ჩემებია, ბატონო, ჩემები, მაშ ვისი იქნებიან!
უპასუხა ბაბემ და მარდად დასწევდა ერთ ქათამს, და-
იჭირა იგი და პოლიციელის ცხვირთან მიიტანა: — ნა-
ხე, რა მძიმეა!

პოლიციელმა ჩამოართვა ქათამი და ხელით აწონ-
დაწონა.

— პო-ო, მართლაც კარგი ყოფილა! — სთქვა მან და
თვალები სიხარბით აევსო.

— ფეშქაში იყოს, ბატონო! — მიუგო ბაბემ და თა-
ვი დაბლა დაუკრა, იმავე დროს ყურადღებით შეათ-
ვალიერა.

— არა, რატომ?... — დაიწყო განგებ პოლიციელმა.

მაგრამ ბაბემ ალარ დააცადა:

— რა ბრძანებაა, ბატონი, ძალიან მაწყენინებ...

— რახან ეგრეა, რა გაეწყობა, წავიყვან,—მოწყალე კილოთი დაეთანხმა იგი.

მაგრამ წასვლას მაინც არ აპირებდა. პირიქით, რა-მდენიმე ნაბიჯი აივნისკენ გადადგა. ბაბეს გული გა-უსკდა: ორი-სამი ნაბიჯიც და აივანზე იქნება. არაფ-რის გულისათვის! „რა ვქნა, როგორ შევუშალო ხე-ლი?“—გაუელვა ბაბეს თავში.

და უეცრად სახეზე სიხარულის ღიმილმა გადაურ-ბინა: პოლიციელმა მოუსვენარი თვალები ბოთლზე შეაჩერა. ბოთლში შინაური არაყი იყო, ბაბეს უნდა გაეწურა იგი, მაგრამ საქმეში გართულს დაავიწყდა და აივნის ბოლოში პატარა შაგიდაზე დარჩა.

არაყის დანახვაზე პოლიციელს პირზე ნერწყვი მო-ადგა.

ბაბემ სწრაფად სტაცა ხელი ბოთლს, ჭიქა აავსო და პოლიციელს მიაწოდა.

— ჰმ! ჰმ!—ჩაიბუტბუტა მან.—რატომ სწუხდებით?

— რა შეწუხებაა! მიირთვი, გეთაყვა!

— რა გაეწყობა, იყოს ნება შენი!.. იცოცხლე და გაგიმარჯოს!—სთქვა, ცალი ხელით არაყს დასწვდა და უსუნთქებლივ გადაუძახა, ხოლო მეორეთი დამფრთ-ხალი ქათამი მიიკრა მკერდზე. მერე ულვაშებზე ხე-ლი გადაისვა.—მაგარი ყოფილა!—შეაქო მან.—თავათ გამოხადე?

— თავათ, ბატონი, მაშ ვინ გამოხდიდა?

— რაკი შენ გამოხადე, ერთი ჭიქა კიდევ დაასხი.

— დალიე,—სთქვა ბაბემ ხმამაღლა და ჩუმად დაუმა-ტა:—ცეცხლად გადინოს!

— რა სთქვი?—ჰკითხა პოლიციელმა.

— ტკბილად შეგერგოს-მეთქი,—მიუგო ბაბემ.

— გმადლობ, გმადლობ მასპინძელო. ახლა-კი წავალ. მშვიდობით იყავი!

ქუდთან ხელი მიიტანა, პირი იბრუნა და კარები-
საკენ წავიდა.

— ნახვამდის, ბატონო, ნახვამდის! — გააცილა ბაბემ.
კარი ჩაკეტა, იქვე სკამზე მძიმედ დაეშვა და თავი-
სუფლად ამოისუნთქა.

— უჰ, ძლივს არ მოვიშორე! — წამოიძახა და იგრ-
ძნო, რომ გული ძალზე უცემდა. — საიდან გამომეცხა-
და ეგ შეჩვენებული ეგა!

მერე სწრაფად წამოხტა, აივანზე ავიდა და ოთა-
ხში შევიდა, საღაც ამხანაგები მოუთმენლად ელო-
დნენ.

— რა იყო, რა მოხდა? — ყველამ ერთად მიაძახა.

— არაფერი, — მიუგო ბაბემ. — მშვიდობით გავისტ-
უმრე. უმადლოდეთ ქოჩორას, იმან გადაგვარჩინა.

და ყველაფერი უამბო ოთახში მყოფთ.

— დღეს სტამბაში მოგვიხდება დაძინება, — სთქვა
მიხომ. — ვაი თუ კიდევ მოეთრიოს ქათმებისა და ში-
ნაური არყის მოტრფიალე ვაჟბატონი. შეეჩია მე-
ლია ქათმებს... შენ, დეიდა ბაბე, ფრთხილად უნდა
იყო აშალამ.

— არხეინად იყავით. თვალს არ დავხუჭავ, არავის
არ შემოუშვებ.

— მაშ ასე, ამხანაგებო. ჰო იმას ვამბობდი, პარტი-
ულმა კომიტეტმა გადასწყვიტა მოამზადოს სამხედრო
საქმის ინსტრუქტორები. ამ ინსტრუქტორებმა უნდა
შეისწავლონ სამხედრო ტექნიკა, პარტიზანული ბრძო-
ლის წარმოება ქუჩებში, ყუმბარების დამზადება და
სხვა. ამისათვის გამოყოფილია ამხანაგების ჯგუფი.
მათ შორის აი ეს ამხანაგიც არის — ნინო ალაჯალოვა.
იცნობთ ყველანი. ახლა კი სათითაოდ სარდაფში ჩა-
დით. ნინო შენ ბაბესთან დარჩები ამაღლამ.

ჩუმალ, ლანდებივით მიიმაღნენ ამხანაგები ჭაში და
პატარა სახლი სიჩუმემ მოიცვა.

დეიდა ბაბეს საზრუნავი მოემატა. ხუმრობა საქმე ხომ არ იყო: სტამბის შენობაში ასაფეთქებელ ნივთიერებათა დამამზადებელი სპეციალური ლაბორატორია მოეწყო. უდიდესი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ მთელი სახლი არ აფეთქებულიყო. გარდა ამისა, 1906 წლის მარტის დამლევს აქვე გადმოიტანეს სამხედრო ჯგუფის მეცადინეობა.

უმდამ ყური მახვილად უნდა სჭეროდათ, რადგან სახლის ირგვლივ ვიღაც უცნობები დაძრწოდნენ, ჭიშკართან ჩერდებოდნენ, სახლს უთვალთვალებდნენ, ზოგჯერ აკაკუნებდნენ კიდეც, კითხულობდნენ—ესადა ეს აქ ხომ არა ცხოვრობსო და გამოგონილ გვარებს ასახელებდნენ.

მართალია, ამ სახლის მდგმურებს წესიერი პასპორტები ჰქონდათ (ახლა ისინი ზარდიაშვილის გვარს ატარებდნენ, ხოლო ბაბე მათ დედად იყო აღნიშნული), მართალია ოთახის კედლებზე ეკიდა მავთულები, საბატარიო ზარები, სხვადასხვა იარაღი და ხელსაწყო, რაც იმას ნიშნავდა, რომ აქ სახელოსნო იყო გამართული, მაგრამ მაინც დეიდა ბაბე დამშვიდებული არ იყო. არ მოსწონდა სამხედრო მეცადინეობის ხელმძღვანელიც, ცქმუტია და მოუსვენარი გურჯიევი, რომელიც გადაჭარბებულ ცნობისმოყვარეობას და თავაზიანობას იჩენდა. არა, ძალზე არ მოსწონდა იგი დეიდა ბაბეს!

*

აპრილის გრილი დილა იყო. მოწმენდილ-მოკრიალებულ ცაზე მზე ამოცურდა, საუცხოო დღე დგებოდა. მწვანე ფოთლებში მხიარულად ჟივჟივებდნენ ჩიტები.

მაგრამ მოწყენით გამოიყურებოდა აივანზე გამოსული მიხოს სახე. რაღაც ფიქრი მოსვენებას არ აძლევდა. ბოლოს ჩუმად ეზოს კარი გააღო, ოდნავ თავი გაჰყო და ქუჩას გახედა. უეცრად, თითქოს რაღაცამ უკბინაო, უკან შეტრიალდა: იქვე შორიახლო ვიღაც საეჭვო კაცი ჩაცუცქებულიყო, თვალებამდე ქუდი ჩამოეფხატა და ცხვირთან მიტანილ გაზეთს ჩასცქეროდა, ვითომ კითხვაში ვარო გართული.

„ჯაშუში!“—გაუელვა მაშინვე მიხოს თავში.

ფრთხილად, ძალიან ფრთხილად შემოუარა მან ეზოს და მეორე მხრიდან, ხის ღობის ჭუჭრუტანიდან კვლავ გაიხედა გარეთ: დაინახა მეორე ჩაცუცქებული კაცი.

მიხო ოთახში შევარდა.

— რა მოხდა?—წამოიძახა ბაბემ, როდესაც მისი შეშფოთებული სახე დაინახა.

— სუ, სუ!—ჩუმად სთქვა მან.—ჩვენ კვალს მოაგნეს... სასწრაფოდ ჩაალაგეთ ყველაფერი და სარდაფში ჩაუშვით, ყველაფერი რაც კი ეჭვს აღუძრავს პოლიციას. ხომ გესმით, ყველაფერი, ყველაფერი! მე-კი პარტიულ კომიტეტს ვაცნობებ...

*

15 აპრილს ამ განაპირა უბნის მცხოვრებნი ძალზე შეაშფოთა პატარა თეთრი სახლიდან მომავალმა საშინელმა გრიალმა, ბაგა-ბუგმა და ყვირილმა, როცა ქუჩაში გამოცვივდნენ, გაკვირვებულებმა დაინახეს, რომ სახლს შემორტყმოდნენ პოლიციელები, ჟანდარმები, ცხენოსანი და ქვეითი ჯარი, მესანგრეები. კაცს ეგონებოდა, იერიში უნდა მიიტანონ არა პატარა უმწეო სახლზე, არამედ მიუვალ ციხე-სიმაგრეზე.

სახლში სრული სიჩუმე იყო, ჩამი-ჩუმი არ ისმოდა

იქიდან. გარეთა კარზე თეთრი ქალალდი იყო მიკრული და ზედ ეწერა:

ეს სახლი ქირავდება.

რაზმის უფროსმა როტმისტრმა¹ იულინცმა დაცინვით შეხედა ამ ქალალდს, სტეკი² აათამაშა თავის კოხტა, ბრჭყვიალა წაღების ყელზე და ჩაილაპარაკა:

— ვიცით, კარგად ვიცით ეს ოინები. ამით ვერ გაგვაცურებთ!

და ბრძანება გასცა შესდგომოდნენ ჩხრეკას.

ხმაურით, აურ-ზაურით, ხმლების ჩხარუნით შეცვივდნენ ჟანდარმები პატარა, წყნარ ეზოში და აქეთიქით გაიფანტნენ, მეძებრებივით დაძრწოდნენ, ყველა კუთხეში შეიხედეს, ყველა ნივთი გადააბრუნეს, მაგრამ ვერსად ვერაფერი და ვერავინ იპოვნეს.

ისეთი სიჩუმე იდგა, თითქოს მთელი სახლი ამოწყვეტილაო.

პოლიციას უკვე აპრილის დასაწყისში ჰქონდა უტყუარი ცნობები, რომ ამ შენობაში არალეგალური ბოლშევიკური სტამბა იყო. მან ისიც იცოდა, რომ თვით სტამბა მოთავსებული იყო მიწისქვეშ, სარდაფში, მაგრამ პოლიციამ არ იცოდა, საიდან შეიძლებოდა ჩასვლა ამ სარდაფში, სად იყო საიდუმლო ხვრელი, და სწორედ ამ ხვრელს, ამ ჩასასვლელს ეძებდა იგი. როტმისტრ იულინცს იმედი ჰქონდა, რომ ჩხრეკის დროს რაიმე კვალს წააწყდებოდა—ქალალდის ნაგლეჯს ან ნივთს, რის მეოხებითაც შესძლებდა სახლის საიდუმლოების გაგებას.

¹ როტმისტრი—ძველად ოფიცრის ჩინი ცხენოსან ჯარში.

² სტეკი—თასმა მობმული წყეპლა.

მაგრამ მჩხრეკავებმა ვერსად ვერაფერი აღმოაჩინეს. დარცხვენილი პოლიციელები წამდაუწუმ ბრუნდებოდნენ უკან და მოახსენებდნენ როტმისტრს: ვერაფერი ვიპოვნეთო. ასეც უნდა მომხდარიყო. ორი დღით აღრე სტამბაში გახურებული მუშაობა იყო. ყველაფერი, რაც კი საეჭვო იყო, საღამოსთვის სარდაფუში ჩაიტანეს. ჭაში ჩაკიდებული ველრა და თოკიც კი მოხსნეს (დავით როსტომაშვილმა წაიღო თავის სახლში). ერთი სიტყვით ყოველი ზომა მიიღეს, რომ პოლიციას ხელში არავითარი საბუთი არ ჩავარდნოდა, რათა ამ გზით სტამბა გადაერჩინათ. როცა ყველაფერს მორჩნენ, პატარა სახლის მდგმურებმა, საკავშირო კომიტეტის განკარგულებით, შეუმჩნევლად მიანებეს თავი შენობას.

— უკეთ მოსძებნეთ! — იმეორებდა განუწყვეტლივ როტმისტრი. — უკეთ მოსძებნეთ, გეუბნებით. უნდა აღმოვაჩინოთ ფარული შესავალი.

ხმაზე ეტყობოდა, რომ უკვე გული მოსდიოდა, ნერვიულობდა. მოდი და ნუ მოგივა გული: რამდენი ხანი ეძებდა პოლიცია ამ საიდუმლო სტამბას, ილაჯი გაუწყდა, არაქათი გამოელია. ბოლოს, მიაგნეს მის კვალს, და როტმისტრი იულინცი დარწმუნებული იყო, რომ გამოააშკარავებდა ბოლშევიკების უდიდეს რევოლუციურ ორგანიზაციას და ამისთვის მიიღებდა ჩინს, ჯილდოს, დაწინაურებას სამსახურში. და უეცრად ასეთი დაბრკოლება!

— ეძებეთ! — მრისხანედ უბრძანა კვლავ ხელქვეითებს. — შესავალი უნდა ვიპოვნოთ, თუნდაც ამისთვის მთელი ეზოს გადათხრა, მთელი სახლის გადაწვა მოგვიხდეს!

სანამ პოლიცია ქექავდა ყველა კუთხესა და კუნძულს, როტმისტრმა გაიხსენა ყოველივე ის, რაც პოლიციის პრაქტიკიდან იცოდა ასეთ შემთხვევებზე.

ფიქრებში წასული როტმისტრი ჟანდარმშა გამოა-
ფხინდა, რომელმაც ოფიცრის შეშფოთებული სახის
დანახვაზე დალაპარაკება ვერ გაბედა და მხოლოდ
მოწიწებით ჩაახველა.

— რა ნახეთ? — ჭკითხა როტმისტრმა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ფარდულში
ვიპოვნეთ აი ესენი, — მიუგო და ყუმბარის სამი საცე-
ცხლე მიღი უჩვენა.

ოფიცერი გამოცოცხლდა.

— სად იპოვეთ? — კვლავ ჭკითხა მან და თვალის
დახამხამებაზე ფარდულში გაჩნდა. — აპო! — ჩაიბუტბუ-
ტა ჭის დანახვაზე.

ჭის ნაპირზე გადაიხარა და შავ ჯურლმულს ჩახედა
შორს ქვემოთ ოდნავ ლაპლაპებდა წყლის ზედაპირი.

— ქაღალდი და ასანთი! — დაიძახა ოფიცერმა.

იმავე წუთს მიართვეს ერთიც და მეორეც. როტ-
მისტრმა ყურადღება არ მიაქცია თავის კოხტა, თეთრ
ხელთაომანებს, ქაღალდს ცეცხლი წაუკიდა და ჭაში
ჩაგდო. ანთებული ქაღალდი ტრიალით დაეშვა ქვე-
მოთ, მაგრამ... უცნაური რამ მოხდა: ჯერ კიდევ ძი-
რამდე, წყლამდე, არ იყო ჩასული, რომ უეცრად სა-
დღაც გაჰქრა, თითქოს კედელმა ჩაყლაპაო.

— მეხანძრეს დამიძახეთ! — მოითხოვა ოფიცერმა.

ერთი წუთის შემდეგ ახოვანი ყმაწვილი მეხანძრე
წინ გამოეჭიმა.

— ჩადით და დაათვალიერეთ! — უბრძანა იულინცმა
და ჭაზე მიუთითა.

მეხანძრე თოკებით ჩაუშვეს. გავიდა რამდენიმე და-
უსრულებელი წუთი, ვიდრე მისი თავი კვლავ გამო-
ჩნდებოდა ჭიდან.

— რა ნახე? — მოუთმენლად ჭკითხა იულინცმა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ჭის კედელში
ხვრელია, — მოახსენა მეხანძრემ.

— სწორედ აგრე ვფიქრობდი! — წამოიძახა როტ-
მისტრმა. — გასაგებია ყველაფერი! აი სად ჩასაფრე-
ბულან! მაგრამ იქ ცოცხლებს ვერ ჩავიგდებთ ხელში:
ბოლშევიკები უბრძოლველად არ დაგვნებდებიან!

მან მესანგრეთა ოფიცერი მიიხმო, განზე გაიყვანა
და ლაპარაკი გაუბა, თან ქვიშაზე რაღაც გეგმის ხა-
ვას შეუდგა.

— გასაგებია? — ჰქითხა მან.

— სავსებით გასაგებია, ბატონო როტმისტრო! — მი-
უგო მესანგრეთა ოფიცერმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ მესანგრეთა ჯგუფი შე-
უდგა სარდაფის იატაკის აყრას, სადაც დეიდა ბაბეს
სამზარეულო იყო მოთავსებული. მალე იატაკში
ამოჭრილი ასაწევი კარიც აღმოაჩინეს.

როტმისტრი დაიხარა და ქვედა სართულს ჩააცქერ-
და, — ცდილობდა დაენახა, რას წარმოადგენდა იგი.
მაგრამ სრული წყვდიადი და სიჩუმე იყო იქ.

— განაბულები არიან, თითქოს კაცი არ იყოს იქ!
— წარმოსთქვა ოფიცერმა ნახევარი ხმით.

დარწმუნებული იყო, რომ იქ იმაღებოდნენ თავით
ფეხამდე შეიარაღებული რევოლუციონერები, რომე-
ლნიც მზად იყვნენ საბრძოლველად უკანასკნელი
ტყვიის გასროლამდე, სისხლის უკანასკნელ წვე-
თამდე ოლონდ კი პოლიციას ხელში არ ჩავარდნო-
დნენ.

ოფიცერმა უბრძანა, ფარანი მოეტანათ, აენთოთ
და თოკით სარდაფში ჩაეშვათ. ფარნის მბჟუტავ შუ-
ქზე გამოჩნდა საბეჭდი მანქანის ერთი გვერდი და ქა-
ღალდის რამდენიმე დასტა. ფარანი მიატრ-მოატრია-
ლეს და სხვა რამებიც დაინახეს, სახელდობრ: შრიფტ-
კასები ვეღრო, ლურსმანზე ჩამოკიდებული ხალათი.
მცირე ხანს შეჩერდნენ, ყური მიუგდეს, მაგრამ ქვემო-
დან კვლავინდებურად ჩამი-ჩუმი არ ისმოდა.

მაშინ როტმისტრმა ბრძანა—დაეთვალიერებინათ ქვედა სადგომი. რამდენიმე ჯარისკაცი ჩაუშვეს. ისმოდა, როგორ დაბორიალებდნენ ისინი, ეჯახებოდნენ სიბ-ნელეში ხან რას, ხან რას. ყრუდ მოისმოდა მათი ლა-პარაკიც. ბოლოს თოკით ზევით ამოსულმა ჯარის-კაცმა მოახსენა როტმისტრს, რომ სარდაფში არავინ არ არის; სამაგიეროდ მარჯვენა კედელში ხვრელი აღმოვაჩინეთო.

საიდუმლო ჭის ამბავი გამომჟღავნდა...

როტმისტრი იულინცი ცას მოეწია:

პოლიციამ დიდი ნადავლი იგდო ხელთ: 50 ფუთა-მდე პრაკლამაციები, საბეჭდი მანქანა, 80 ფუთი შრი-ფტი, 30 ფუთი დაბეჭდილი ბროშურები, 19 შრიფტ-კასა, ასაფეთქებელ ნივთიერებათა ლაბორატორია, მრავალი ბეჭედი, პასპორტი...

— ყველაფერი ამოიტანეთ?—იკითხა როტმისტრმა.


და როცა მოახსენეს—ყველაფერიო, ბრძანა:

— ჭა ქვით ამოავსეთ, სახლს ცეცხლი წაუკიდეთ, შენობის საძირკველი დინამიტით ააფეთქეთ!

და მალე მოშორებით მდგომმა ხალხმა, რომელიც თვალყურს ადევნებდა პოლიციის მოქმედებას, გაოცე-ბულმა დაინახა, როგორ გაეხვია კვამლში თეთრი სახ-ლი და აყვავებული ბალი, როგორ ამოვარდნენ ამ კვამლიდან ცეცხლის ენები, როგორ იფეთქა მერე დინამიტმა და ზევით აისროლა ქვა, აგური და მიწა...

*

აღარ მოსჩანდა ლამაზი პატარა თეთრი სახლი, რო-მელიც მწვანე ბალს გადაჰყურებდა. აღარ გამოდიო-და აივანზე შავ ქართულ ტანისამოსში გამოწყობილი მდუმარე ქალი და გულდასმით აღარ ათვალიერებდა არემარეს. აღარ გაისმოდა კედელში ჩამალული პატარა ზარის წკრიალი... ნანგრევებზე უხვად იხარა სარეველა ბალხმა.



საიდუმლო ჭა.

ავტობაზრის არალუგალური ბოლშევიკური სტამბის განდაღების მიურ 1906 წლის 28 (15) აპრილს.
შემატვა. ი. ველებეგის ნახატის ფოტო.

ბოლშევიკურმა პარტიამ სხვაგან გადაიტანა თავისი სტამბები. მას არც ერთი წუთით არ შეუწყვეტია რევოლუციური მუშაობა, მზაღება სოციალისტური რევოლუციისათვის.

... ოქტომბრის დიდი სოციალისტური რევოლუციის შემდეგ პროლეტარიატმა მშრომელ გლეხობასთან ერთად იწყო ახალი, თავისუფალი ცხოვრების შენება.

სრულიად გამოიცვალა თბილისი. განხე გაიწია, გაფართოვდა, გამშვენიერდა, გაახალგაზრდავდა. იგი საბჭოთა კავშირის ერთ-ერთ ულამაზეს ქალაქად გადაიქცა. ყოფილ განაპირა უბნებში, წინად მივარდნილ და უდაბურ ადგილებში აშენდა მრავალი დიდი ახალი შენობა. ოლრო-ჩოლრო, გაუვალი ქუჩები ასფალტით მოიფინა. ავტომობილმა და ტრამვამით განდევნა ეგრეთწოდებული „კონკა“ და დანჯლრეული ეტლები. მწვანეთი შეიმოსა მთელი ქალაქი.

და იქ, სადაც ოცდაათი წლის წინად მეფის საზიზლარმა პოლიციამ და ჟანდარმებმა დაანგრიეს თეთრი სახლი კოხტა აივნით და საიდუმლო სარდაფით, 1935 წელს საქართველოს ბოლშევიკების გამობრძმედილი ხელმძღვანელის ამხანაგ ლ. პ. ბერიას მითითებით, აღდგენილ იქნა სწორედ ისეთივე სახლი, ნამდვილი ასლი ძველი სახლისა.

— ჭა, ჭაც არის? — იკითხავთ თქვენ.

— დიახ, არის. თავ-თავის ადგილას გაჩნდნენ ჭაც, ელექტრონის ზარიც კედელში, დეიდა ბაბეს ტახტიც, ლურსმანზე ჩამოკიდებული შავი ხალათიც, შრიფტკასებიც, ბევრი მგზავრობის შემდეგ გადარჩენილი ის ძველი საბეჭდი მანქანაც, ქვაბებიც კი ძველ ქართულ ქურაზე, ტოპრაკი ნახშირით და თიხის ქოთნები სამზარეულოში, სადაც ოდესლაც ფუსტუსებდა საყვარელი დეიდა ბაბე, რომელიც ასე ფხიზლად იცავდა მე-

ფის ჯაშუშების თვალებისაგან ბოლშევიკურ სტამბას... და როცა უყურებ ყოველივე ამას, მოელი—აი საცაა გამოჩნდება დეიდა ბაბე და გაისმისო მისი საამო ხმა.

დღესაც ცოცხლები არიან ზოგიერთები იმ შესანიშნავ ადამიანთა რიცხვიდან, რომელნიც ოცდათხუთმეტი წლის წინად თავგანწირულად მუშაობდნენ აქ, შველოდნენ პარტიას მშრომელ ხალხამდე ბოლშევიკურ სიმართლეზე მგზნებარე სიტყვის მიტანაში.

ხანდახან აქ თავს მოიყრიან ხოლმე, ისინი, ძველი მომუშავენი, უკვე გაჭაღარავებული, მაგრამ მაინც მხნე და მოუდრეკელი შოხუცნი.

ისინი აღარ ეშვებიან ჭიდან სარდაფში, როგორც სჩადიოდნენ ამას ოდესლაც ახალგაზრდობისას. ახლა ისინი ჩადიან მნახველებისათვის გამართულ რკინის კიბის საფეხურებით.

ისინი თავს იყრიან ნაცნობ და ძვირფას ოთახში, დგებიან შრიფტ-კასებთან,—ყველა თავ-თავის აღგილა—და მათი გონებრი თვალწინ ათასი მოგონება, ათასი სურათი გაიელვებს ხოლმე. იწყებენ საუბარს ჩუმად, ნახევარი ხმით, ძველი ჩვეულების მიხედვით.

— გახსოვს?—ამბობს ერთ-ერთი და სხვები იმავე წუთს უპასუხებენ. თვალები, ბევრის მნახველი თვალები უცხოველდებათ, ხმა უკანკალებთ, მთელ მათ არსებას მღელვარება ედება, რაღვან ბევრი ძვირფასი და წმინდა რამ დარჩათ მათ იმ შორეულ შფოთიან წარსულში, როდესაც ისინი ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით და მეთაურობით მეგობრულად, ხელიხელ ჩაკიდებულნი მუშაობდნენ.

— გახსოვთ?—მიმართავენ ისინი ერთმანეთს და თვალებში ცრემლი უკრთით ჩუმი სიხარულისაგან, იმისაგან, რომ ფუჭად არ ჩაიარა მათმა გრძელმა, პატიოსანმა, შრომით ალსავსე ცხოვრებამ, რომელიც მათ მთლიანად ლენინისა და სტალინის დიად საქმეს შესწირეს.

— გახსოვს? — რშეორებენ ისინი კვლავ და მათ
თვალწინ ახალი ძაფი იბმება. მათ საუბარში გაისმის
საყვარელი სახელი:
„კობა, ჩვენი სოსო“.

*

ათასობით, ათიათასობით მოდიან მშრომელნი აქ,
მოდიან ყოველ დღე. პატარა კართან წყდება საუბა-
რი, და ყველას სახე სერიოზულ და ჩაფიქრებულ
გამომეტყველებას ღებულობს, როგორც კი შესავალ-
თან კედელზე თვალს მოჰკრავს მემორიალურ დაფას.

დადუმებულნი, მოწიწებით, უნებური მღელვარებ-
ით დადიან ოთახებსა და სარდაფებში, იცქირებიან
ჭაში, სინჯავენ მანქანას, ისუნთქავენ ჯურლმულის
ცივ ნესტიან ჰაერს. ყველაზე დიდხანს ჭასთან ჩერ-
დებიან. ქვემოთ, წყლის ზედაპირთან, ელექტრომაშუ-
ქი ციმურებს, რისგანაც ჭა დაუსრულებლად ღრმა
მოსჩანს და საიდუმლოდ გამოიყურება... სიწყნარე
და მყუდროებაა გამეფებული იქ, და ნება-უნებურად
გიტაცებს და გაღელვებს იმ თავგამოდებულთა ნაამ-
ბობი, რომელთა ხელებიც ეხებოდნენ ამ კედლებს.

მოდიან აქ დიდები — სტახანოველი ქალები და კაც-
ები, წითელარმიელები, მასწავლებლები, კოლმეურ-
ნეები, შინამოსამსახურეები, მოდიან ქართველები,
სომხები, რუსები, უკრაინელები, ყირგიზები, აზერ-
ბაიჯანელები, ქურთები და თურქმენები. მოდიან ხმა-
ურით და აურზაურით მოუსვენარი ბავშვები, რომ-
ელთაც ერთბაშად უნდათ ყველაფრის ნახვა და ყვე-
ლაფრის გაგება. მოდის ახალი თაობა, რომელმაც
არ უწყის, რა არის მწარე წარსული. მოდიან იმ უთ-
ვალავ გმირთა შფილები და შვილის, შვილები, რომ-
ელთაც ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით
თავისუფლება და ბედნიერება მოიპოვეს ჩვენთვის.

894.63

225

1960 1 856. 20 д.

160

Г. А Г А С О В

ТАИНСТВЕННЫЙ КОЛОДЕЦ

(на грузинском языке)

Детюниздат ЦК ЛКСМ Грузии
Тбилиси - 1941